ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 188. კვირა, 19 დეკემბერი 1910 წ. დამატების № 32

მსახიობი კოტე მესხი.

კოტე მესხს

ხან თუ ტალღა ხარ, ხან სიო ნელი,
ხან ბობოქარი, ხან მონარნარე;
სხივით დასთრგუნე წყვდიადი-ბნელი,
თვით წამებულმა სხვა ანეტარე!

***

შენი თამაში, გრძნობით აღვსილი,
ობოლს, დავრდომილს აძლევდა შვებას;
ვარდი დამჭკნარი, ბედით დავსილი,
დღეს ჩვენთვის აკმევს ტკბილ-სურნელებას

***

ვაშა შენს ნიჭსა! ვაშა შენს სახელს!
ქართულ სცენიდან მოგვბერდე ნათელს!..

ა. შანშიაშვილი.

***

შენც ქურუმო, ხელოვნების, გულით გესლსა დაატარებ,
ხშირად სცენით, შხამის დენით, დუშმანთ სწამლავ, ვით
გრძნეული,
ხალხთ სიმდაბლეს, ორ-პირობას, სრულის გრძნობით და-
ჰხარხარებ,
იმ სიცილში იხატება სულის სწრაფვა დაქცეული.
მიტომ გიძღვნით თაგულებს, მიტომ გიმღერთ ლოცვის
ნანას,
გვირგვინს გიწნავს საყვარელი შენი ჴოძმე, შენი ერი
ვინც ძალ-ღონით, სულით, გულით, ეწირება მთელს ქვე-
ყანას,
არ მოკვდება... მარად სცოცხლობს... იმას ეთქმის ბედ-
ნიერი!..

ნ. ჩხიკვაძე,

ორი სიცილი

(კ. მესხს. მის იუბილეს გამო).

ოდეს ღამით ბადრი მთვარე ღრუბლებშია ჩაისრული,
ცის წიაღზე იხატება სიკვდილი შავ ცელ-გაწვდილი,
მთების მწვერვალთ დაჰფრენს ლაღად, დახარხარებს ავი სული,
ძირს სოფელსა შეაკრთოლებს ჯოჯოხეთის მკვიდრი 'მვილი.

ამ დროს მეფობს ის სატანა, იმას ჰმონებს მთა და ბარი,
იმ ხარხარ'ში იხატება სიამაყე მისის სულის,
უკუნეთში მომწყვდეულთა ადამის ძეთ ისმის ზარი,
ზეცას არ სცნობს გულ-ზვიადი, ბატონია თვით უბსკრულის

ცოლის მორჩულება. პეტრუჩიოს როლში.

ნერონის როლში.



ნაპოლეონის როლში.

სიკვდილი ნაპალეონისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალხინო. ნიკო მაჭარაშვილი.

კ. მეხი 1879—1886 წლის სეზონი.

ლევან პატონიშვილი. პაატას როლში.

დონ-სეზარის როლში.

კოტე მესხი

(ბიოგრაფიული ცნობა)

წელს 30 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი ნიჭიერი მსახიობი კონსტანტინე (კოტე) სვიმონის ძე მესხი ქართულს თეატრს ემსახურება. მადლიერი ერი ღირსეულს შვილს 21 დეკემბერს სახაზინო თეატრში საიუბილეო წარმოდგენას უმართავს.

კოტე მესხი დაიბადა ქუთაისში 1859 წელს. ცხოვრებამ ჯერ მამის ოჯახსა, რომელიც განათლებულად ითვლებოდა და შემდეგ ტფილისში, ძმის სერგეი მესხისა და სხვა ქართველ-მოღვაწეთა შორის, უმნიშვნელოდ არ ჩაიარა და ყმაწვილს ადრევე გაუცხოველდა საყვარული მშობელ ქვეყნისა, განსაკუთრებით სათეატრო ხელოვნებისა.

ამ 30 წლის წინად მოწვეულ იქმნა ტფილისში ახლად დაარსებულ მუდმივ დრამატიულ დასში, სადაც მსახიობმა მეტად ჩქარა საპატივო ადგილი დაიჭირა თავის მაღალ ნიჭისა და საქმის ღრმა სიყვარულის წყალობით.

ამ ხნიდან დაწყებული კოტე განუწყვეტლივ ეწევა მძიმე ტვირთს ქართულ მსახიობისას. უთამაშნია სამასამდე სხვა და სხვა როლი. განსაკუთრებული ამპლუა არა აქვს. ერთნაირის ხალისითა და შეგნებით ჰთამაშობს ყველა ხასიათის როლებს. უფრო კი კარგია კომიკურსა და დამახასიათებელ როლებში. მის რეპერტუარ'ში არის, სხვათა შორის, შემდეგი როლები: პეტრურჩიო, დონსეზარი, ფიგარო, პროპროიევი, ნაპოლეონი, ნერონი და სხვა.

მძიმეა ნივთიერი მდგომარეობა ქართველ მსახიობისა, მაგრამ კოტემ მაინც მოახერხა ორჯელ უცხოეთს წასვლა იქაურ თეატრების შესასწავლად.

გადმოკეთებული და გადმოთარგმნილი აქვს ბევრი პიესა. 1884 წელს კოტემ ქუთაისში მუდმივი ქართული თეატრი დაარსა და დრამატიული დასიც შეადგინა. ხან მსახიობი იყო, ხან რეჟისორი და ხან ანტრეპრენიორი.

კოტე ლიტერატურასაც არ არის დაშორებული. ყველას ახსოვს მისი მოხდენილი ფელეტონები ქართულ გაზეთებში. ერთ დროს საკუთარი გაზეთი „პატარა გაზეთი“ც დაიარსა, რომელიც ჩქარა რეაქციას მსხვერპლი გახდა.

პატივცემული იუბილარი დღესაც ჯანსაღად არის და მტკიცედ განაგრძობს დიდის საქმის სამსახურს.



სატირიკონიდან.

ქმარი. ჩემო მშვენიერო, ძალიან ჰგევხარ მეზობელ ქალს!
ცოლი. მართლა?
ქმარი. მაგრამ იმას რომ მიჰბაძავდე და თავს დამანებებდე...

თანამედროვე მოსწავლე ახალგაზრდობა.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხონლულაშვილი. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3